


ლიცეოს სკოლა საშური



საშურის მუნიციპალიტეტის ბაზეთ „საშურის მოამბის“ დამატება
№3, 25 მარტი, ორშაბათი, 2024 წელი

შერიგება

ტოტებს ქარისას გადაჰყვა მარტი,
შავ ტანსაცმელით მე მოვირთვები
და გავალ ქარში, როგორც მოცარტი,
მიყვარს მინდვრებში ქარის ზვირთები.
ახლა ამ სივრცეს, ახლა ამ ბალებს
და მყინვარს, მაღალ ლაჟვარდთა მეფეს,
ჩემი თვალები გააზამბახებს,
ვით შეყვარებულს და მეოცნებეს.
ჩვენ გვირგვინები გვაქვს ოდნავ მსგავსი,
ლამაზი ცეცხლთა მარადი ნთებით:
მე – მსუბუქ დაფნის ფოთლებით სავსე,
მყინვარს – უმძიმეს იაგუნდებით.
ამაღლდი, სულო, თეთრ აკლდამაზე
მვენიერების ლექსით მქებელი!
დღეს ყველგან მზეა და სილამაზე
სიკვდილთან შენი შემრიგებელი!



65

წელი

გარაკციონი

გარაკციონის

(თვით)მკვლავლობიან!..

გ ა ლ ა ყ ც ი ო ნ ი

ყვავილი გალაკტიონის სულის ანაბეჭდია...

1959 წლის 17 მარტი...

შეძრუნდა ამ დღეს ყველა, ვისაც პოეზია უყვარდა! გალაკტიონის ტრაგიკულმა აღსასრულმა მრავალი კითხვა გააჩინა...

გალაკტიონის პოეზია და პიროვნება დროთა სამანებში უფრო თვალსაჩინოდ იკვეთება.

გალაკტიონი – კოსმიური პოეტი, უჩვეულო ზემოქმედებას ახდენს მკითხველზე. ყვავილების უხვი ფერებით გაჯერებული მისი პოეზია იმ განცდით გავსებს, რასაც მშვენიერებასთან შეხვედრა წარმოშობს. ეს დიდ ნათელთან, უმაღლეს სუბსტანციასთან შერწყმის განცდაა, რომელიც სპონტანურად გვეუფლება და გალაკტიონის სიტყვებით რომ ვთქვათ, „სიშორის სიახლოვეს“ განგვაცდევინებს.

ისმის კითხვა: წინამორბედთაგან რით გამოირჩევა გალაკტიონი ყვავილთა სიმბოლური გააზრების მხრივ? ყვავილი რომ ესთეტიკური ფენომენია და იგი პოეზიაში ყველაზე მომხიბვლელი პერსონაჟია, არაერთხელ თქმულა და დაწერილა. რუსთაველის, ბარათაშვილისა და ვაჟას შემდგომ თითქოს რაღა უნდა თქმულიყო ყვავილზე, მაგრამ გალაკტიონის გენიამ ეს მშვენიერება თავის სულში გაახარა და უცხო, უღამაზეს ყვავილების ფერსა და სურნელებს გვაზიარა. დაკვირვებული თვალი უმაღ ამოიცნობს, რომ გალაკტიონის ლექსებში ყვავილი მისი სულის ანაბეჭდია. საერთოდ კი, პოეტს ბავშვობიდანვე ფანატიკურად უყვარდა ყვავილები:

„ჩემს ბინაში ყოველთვის იყო ყვავილები და ეს მმატებდა ენერჯიას“ – იგონებს იგი.

შეიძლება ითქვას, რომ გალაკტიონთან ყვავილთა სიმბოლური გააზრება იდუმალების ესთეტიკას ემყარება, როგორც თავად ამბობს:

„აღმოვაჩინე მთელი სამყარო, ქვეყნისთვის ჯერაც მიუკვლეველი.“
მესამე თვალახელილი საკრალურ სამყაროს ჭვრეტდა:

„დააყირავა მზემ ვარდებით სავსე კალათა,
სავსე კალათა ცისფერებით, ლურჯით, თეთრებით...“ – რა მშვენიერი პეიზაჟია! უცხო და დამატრობელ სურნელს აფრქევს „მზის ვარდებით სავსე კალათა,“ თავად პოეტი კი მარადი მძებნელია, რომელიც „იისთვის ეძებს იისფერ სიტყვებს,“ და ერთხელ კიდევ ვრწმუნდებით, რომ გალაკტიონი უნივერსიუმთან შენივთებული და სამყაროს უსასრულობაშია გაჭრილი.

გალაკტიონში ბუნების, მთელი სამყაროს რეალური და ირეალური განცდა იმდენად მძლავრია, იმდენად გადამდებია მუხტი მისი პოეზიისა, რომ აღარ გვიკვირს, განსაკუთრებული ესთეტიკური ძალით რომ მოქმედებს მკითხველზე. ამას, უპირველესად, პოეტი მაღალმხატვრული სახეობრივი სისტემით აღწევს, რომელიც ყვავილთა მეტაფიზიკური გააზრებით არის ნიშანდობლივი. „თავის ქალა არტისტული ყვავილებით“ – მისი ეს კრებული ამის ილუსტრაციაა.

ასეთი იყო იგი – დიდი განდობილი, რომლის პოეზიამ ყვავილები, როგორც თავად ამბობს, მარადისობად გახადა:

„მზემ, ლაჟვარდში რომ შეზრდილა,
თავისი სახე ნახა და
ეს ყვავილები, ეს დილა
მარადისობად გახადა.“

გენრიეტა ქუთათელაძე –
ლიტერატურათმცოდნე, პოეტი

„სარკმელს გააღებს ამღვრეული გალაკტიონი და ქვაფენილზე შურდულივით დაენარცხება...“

1959 წლის 17 მარტს ვაკის სამკურნალო კომბინატის მეოთხე სართულიდან 67 წლის მამაკაცი გადმოხტა. მოგვიანებით, ექიმებმა სიკვდილის მიზეზად, ტრავმული შოკი დაასახელეს. მას ხალათის ჯიბეში პაპიროსი „რეკორდი,“ სამი ასანთის კოლოფი, უბის წიგნაკი, ფანქარი და 281 მანეთი უპოვეს.

მამაკაცი, რომელმაც სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა, გალაკტიონ ტაბიძე იყო... 2024 წლის 17 მარტს 65 წელი შესრულდა მეფე-პოეტის გარდაცვალებიდან...

მე არ ვიცნობდი გალაკტიონ ტაბიძეს! არც აღტაცებული მინახავს და არც გაბრაზებული. არ ვყოფილვარ მასთან სახლშიც, არც მწერალთა კავშირში შეეხვედრივარ, არც სტამბაში. გალაკტიონი იმდენად მარტოსული გახლდათ, იმდენად თავისებური და განსხვავებული, მასთან გაშინაურება და მისი გაცნობა შეუძლებელიც იქნებოდა-მეთქი, თავს ასე ვინუგებებ. თუმცა, მისი თანამედროვე მანც ვარ, მეც მის საუკუნეში დავიბადე, მისი გარდაცვალებიდან რამდენიმე წლის შემდეგ... ხომ გახსოვთ, ერთგან ასე ჩანერს: თქვენ რომ გგონიათ, ის არ ვარო!!! აკაკი წერეთელმა დაასწრო, თორემ ეს გაფრთხილება გალაკტიონის პიროვნებას უფრო შეეფერება, და ამიტომაც დაესესხა და გაიმეორა.

სიცმანვილიდანვე მარტო დარჩა. ყველგან და ყოველთვის მარტო იყო. ვეება მხრებით დაატარებდა საკუთარ მარტოობას და ისე გაუცხოვდა, თავისი ბუნებრივი ხმით არც კი გველაპარაკებოდა... რაზეც გული მეთანაღრება, ეს არის გადასარჩენად გამოგონილი მისი თამაში, მისი გალაკტიონადა!

უბრალოდ ჩაცმული ყველასაგან გამოირჩეოდა, შიგნიდან ანათებდა და ამდიდრებდა გარემოს, და არა მარტო ფიზიკურად, იდგა მთელი თავით მაღლა! უცაბედად შეატყობდით, სხვა კაცი იყო! აკი გვიბეჯითებდა: მე სიზმრებს ვხედავ, არათქვენებურსო! როდესაც გესაუბრებოდათ, თითქოს სხვაგან იმყოფებოდა და ეს „სხვაგან“ იყო მისი მთავარი სავანე.

უმეგობროდ იცხოვრა. მას არ გააჩნდა პრაქტიკული ცხოვრების უმნიშვნელო უნარიც კი, უჭირდა სხვასთან დაკავშირება და დაახლოება. პოეტურმა ტალანტმა ისე ამონურა და მისსაკუთრა მთელი მისი ადამიანური შესაძლებლობა, რომ აღარ დაუტოვა კომპენსაციის არავითარი საშუალება. თითქმის ყოველს შემძლე ხდებოდა, როდესაც კალამს აიღებდა ხელში და უსუსური ჩანდა, როგორც კი ქალაღდს გამოდებოდა. ხშირად და სამართლიანად ამაცობდა საკუთარი შემოქმედებითი ნაყოფიერებითაც:

„ჩემ მიერ დაწერილია არა ასი, არა ორასი, არა ათასი, – არამედ შვიდი ათასი ლექსი და პოემა. 100 ქართული პერიოდული გამოცემა.“ – ეს მთელი ისტორიაა, და არა მხოლოდ ლამაზი სიტყვები! სიცოცხლეში რვა ტომი გამოსცა. ბევრიც ტომებს გარეთ დარჩა – სრულიად გამოუქვეყნებელი ორი ტომი ლექსები და რვაათასსტრიქონიანი პოემა. სურდა ლექსებისა და პოემების სრული კრებული გამოეცა ერთ წიგნად. სურდა, მაგრამ ვერ განახორციელა, რადგან პოეტმა, რომელსაც მაშინ პაციენტის სამოსი ეცვა, გამორჩეული ვარდისფერი გზა ირჩია, სარკმლიდან 13 მეტრი იფრინა და თავისი ადრინდელი ჩანაფიქრი შეისრულა:

„მე მიხარია, რომ ჩემივე საკუთარი ნებით შემიძლია შევაჩერო ეს მოუსვენარი გულისცემა...“

... მე არ ვიცნობდი გალაკტიონს ამ სიცოცხლეში, მას ბატონი ვახტანგ ჯავახაძე იცნობდა. მაღლობელი ვარ ბატონი ვახტანგ ჯავახაძის, ბატონი აკაკი ხინთიბიძის, კიდევ სხვების და გალაკტიონის, რადგან მისი 70 ათასი რითმა ვიკვლიე და ოდნავ და დისტანციურად, მართლაც, შევიცანი...

და ახლა: „როს ქაოსში დაკარგულს, ქარი დამედევნება ძახილით: გალაკტიონონ!“ მეც შემიძლია თავისივე სტრიქონებით გავეხმაურო: რომ იგი, თვითონაც მძიმე ქვების ქუსლებით დაეყრდნობა პოლუსს, როცა ქარი მოასკდება და ცას შეემუქრება... ჰო, თუკი შეემუქრება!!!

გალაკტიონის სულისა და ლექსის სიმალის გამძლეობას გისურვებთ, რადგან მისი სტრიქონისა არ იყოს:

„დაისერა მსოფლიო გამოუცნობ ნყლულებით!..“
უგალაკტიონობაა გალაკტიკაში!!!

თამარელა ნონორია,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

„იდუმალეა შორეულ ტრფობის“

გალაკტიონ ტაბიძე ბოლომდე შეუცნობელი დარჩა ქართულ პოეზიაში. გალაკტიონის პოეზიის ვერგაგების მაგალითად იმ ფსევდოლეგენდის არსებობაც გამოდგება, გალაკტიონის „მერი“ თუ „მერის“ ციკლის ლექსები თითქოს რეალურად არსებულ ქალს – მერი შერვაშიძეს რომ ეძღვნება. ასეთ დროს მხოლოდ ერთი კონკრეტული ლექსის – „მერის“ (ან „მერის“ ციკლის ლექსების) აზრობრივი შინაარსის არასწორ ამოკითხვასთან არა გვაქვს საქმე – მთლიანად გაუაზრებელი გვრჩება გალაკტიონის შემოქმედების სიმბოლისტური პერიოდი.

აკაკი ბაქრაძის ერთი ჩანაწერი არსებობს: „რაც ზეციური ასპექტით იკითხება გალაკტიონთან, ის პეტერ ალტენბერგმა ასე გამოთქვა: რაც ზეციურია, იგი ღვთისმშობელს უკავშირდება, რამეთუ ადამიანი ოდენ მინიერი ცხოვრებით არ ცხოვრობს“. ასე რომ, გალაკტიონის საუკეთესო ლექსები, უპირველესად, „მერის“ ციკლი ე.წ. „სატრფიალო ლირიკისა“ დაშორებულია რეალობას, არაფერი აქვთ საერთო ჩვეულებრივ სამიჯნურო პოეზიასთან. მიღმიურისკენ მიდრეკილი პოეტის მზერა და გულისთქმა „საღვთო ტრფიალებითა“ აღვსილი.

ქრისტიანობისათვის ყოვლისმომცველი სიყვარულის იდეა სამყაროს არსებობის საფუძველია. „უსიყვარულოდ მზე არ სუფევს ცის კამარაზე“, – იტყვის გალაკტიონიც, რომლისთვისაც უცხო არ არის საღვთო ტრფიალების იდეა. ისიც, სხვათა მსგავსად, „საზეო მიჯნურობის“ გამოსახვისას, მინიერი სიყვარულის ანალოგიას მიმართავს. რაც, თავის მხრივ, ხდება იმის მიზეზი, რომ გვიჭირს მინიერი გრძნობებით გადმოცემული პოეტური აზრის მიღმა მისი ჭეშმარიტი შინაარსი – საღვთო ტრფიალება დავინახოთ.

„საღვთო ტრფიალება“ ნამყვანი მოტივია ე.წ. აღორძინების ხანის ქართულ პოეზიაშიც. სიყვარულის ალეგორიული გააზრება, რომელიც ბიბლიურ „ქებათა ქებაში“ იღებს სათავეს, ამ ეპოქის ტენდენციად იქცა. ის მკაფიოდაა გამოვლენილი არჩილთან, ვახტანგ მეექვსესთან, მამუკა ბარათაშვილთან და, რაღა თქმა უნდა, დავით გურამიშვილთან. მოგვიანებით კი, ნიკოლოზ ბარათაშვილთან, რომელიც, შვებას და სასოებას ზეციურ საუფლოში ეძიებს. იქ „მერანის“ ავტორს ღვთისმშობლისეული უხრწნელი მშვენიერება ეგულება – „მშვენიერება გაქვს, ცისიერო, უხრწნელი“.

ღვთისმშობლის ხატება საუკუნეთა მანძილზე მსოფლიო ლიტერატურაში არაერთგზის გამხდარა სასულიერო და საერო პოეზიის ხოტბის, ალტაცებისა თუ მოკრძალებული თაყვანისცემის ობიექტი. ამ ტენდენციას, ბუნებრივია, ქართულმა პოეზიამაც აუბა მხარი, როგორც ქრისტიანული კულტურის შემადგენელმა ნაწილმა.

ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი ლექსების მთელი წყება გამოიყოფა გალაკტიონის პოეზიაში. 1912 წელს რეალისტური მკაფიობით აღბეჭდილი ლექსი უძღვნა ღვთისმშობელს – „ავე მარია“ („ჰიმნი ღვთისმშობელს“):

„დედაო ღვთისავ! შენკენ მოილტვის
ლოცვა-ვედრება და საკმეველი.“

გალაკტიონის პოეზიაში ჯერ კიდევ 1910 წელს გვხვდება ღვთისმშობლის ხატება, ლექსში – „ჩემო მადონავ“.

„ქალის ლანდი“ – ასეთი სათაური აქვს გალაკტიონის ლექსს, რომელიც პირველ პოეტურ კრებულშია შესული (1914წ.). ვისი ლანდი იგულისხმება აქ? თუ გალაკტიონს დავესესხებით, ამგვარადაც შეიძლება დაისვას კითხვა: „ვინ არის ეს ქალი ასეთი ცისფერი“? პოეტმა იგი განთიადისას „ხის რტოებში“ იხილა. „ზეციურად, მიუწვდომლად მომელანდა“, – ამბობს გალაკტიონი და დასძენს: „ხელუხლებელს, ჰაეროვანს სხეულს ხელი ვერ შევახე“.

ეს „ჰაეროვანი“, „არაქვეყნიური“, „შორეული“ არსება, შეუძლებელია, რომელიმე რეალურად არსებული ქალი იყოს. ამავე წელს შექმნილ სხვა ლექსში („სიმღერა“) ასეთი სტრიქონებია: „და ვერ ვივინყებ ქალწულის სახეს, სადღაც ოდესღაც ფიქრში ზმანებულს“. ეს „ფიქრში ზმანებული“ „ქალწულის სახე“ – „უსხეულო“, „ჰაეროვანი“, „ხელუხლებელი“, „არაქვეყნიური ლანდი“ სხვა არავინ შეიძლება იყოს, თუ არა ღვთისმშობლის ხატება, რომელიც ღვთაებრივი ექსტაზით განმსჭვალულმა პოეტმა განთიადისას იხილა ცაზე და რომელსაც, ხშირ შემთხვევაში, რუსულ-ევროპულ პოეზიაში გავრცელებული სახელით მოიხსენიებს – მერი:

„აქ მრავალია ცისფერი ფერი!
ეს ფერი მარად თვალს ეყვარება,
როგორც ქალწულის სახელი – მერი,
არის ცისფერი და მწუხარება.“

(„გზაში“)

თუმცა ყოველთვის არ არის ასე, მერი მისი სულიერი მღვდვარებისა და ჭმუნვის თანაზიარიც არის:

„ჩამობუროს ზეცა, მისიც აღარა მჯერა –
მერის თვალებით იგი ვერ გაბრწყინდება, ვერა.“
(„მერის თვალებით“)

მაინც რა არის სკეპსისით სავსე ამ ამოხვრის მიზეზი?! გალაკტიონი ნიცშეს ეპოქის შვილია. მისი ჭმუნვის მიზეზი საყოველთაო უღმერთობაა. სწორედ ეპოქის სატკივარი ისმის მის სიტყვებში:

„როგორ შევიძლოთ უღვთისმშობლობა, ვით ავიტანოთ უმადონობა?“ არადა, როგორც თავად ამბობს, მასში „დაუცხრომელი იყო წყურვილი მეტაფიზიკური თავის დაღწევისა ამქვეყნიური არსებობისაგან“.

„საღვთო ტრფიალების“ თემას გალაკტიონის პოეზიაში, გარდა საკუთრივ ქართული ნიადაგისა, კიდევ ერთი წყარო აქვს – რუსული „თეურგიული სიმბოლიზმი“, გამორჩეულად კი ალექსანდრ ბლოკის პოეზია. ბლოკს გალაკტიონი, აკაკი წერეთლისა და საკუთარი თავის მსგავსად, პოეზიის მეფედ მოიხსენიებს: „იმ საშინელ წელს პოეტი-მეფე გარდაიცვალა, – ალექსანდრ ბლოკი“ („პროლოგი ასი ლექსის“), ხოლო ლექსში – „რუს პოეტს“ საგანგებოდ აღნიშნავს ბლოკთან სულიერსა და თემატურ ერთობას – „ჩვენ სივრცეებში ვართ თანაბარი“.

ალექსანდრ ბლოკი უმცროს სიმბოლისტია, ე.წ. „თეურგთა“ დაჯგუფებას მიეკუთვნებოდა. „თეურგები“ (ანდრეი ბელი, ვიჩესლავ ივანოვი, ალექსანდრ ბლოკი...), პოეტისა და მისტიკოსი ფილოსოფოსის, ვლადიმერ სოლოვიოვის გავლენას განიცდიდნენ. ამ გავლენამ, სხვა რომ არა ვთქვათ, რუსულ პოეზიას ისეთი დიდებული კრებული შესძინა, როგორიცაა ალ. ბლოკის „ლექსები მშვენიერ ქალბატონზე“ („Стихи о прекрасной даме“). გალაკტიონიც ამ წიგნსა და მის ავტორს გულისხმობდა, როცა გულწრფელი მწუხარებით აღმოთქვა: „აღარ არის მენესტრელი მშვენიერი დამისა“. ამ სიტყვების ავტორს უთუოდ ხიბლავდა ბლოკის სიმღერა შორეულ, ცისფერთვალე ქალბატონზე, რომელიც პოეტს მარადქალურობის განსახიერებად ესახებოდა.

„მარადქალურობის“ იდეა გოეთედან იღებს დასაბამს. „მარადქალურობა“ ეს არის ტრანსცენდენტური ძალა, რომელსაც სიყვარულის მეშვეობით აჰყავს ადამიანი მარადიული შემოქმედებითი საქმიანობის სფეროში. „ფაუსტი“ „მარადქალური“ საწყისი სამყაროს გამაერთიანებელი და მაცოცხლებელი, მარადმქმედი ძალაა. ამ ძალის მეშვეობით ადის ფაუსტი სინათლით გასხივოსნებულ კოსმიურ სივრცეში. „ფაუსტის“ მეორე ნაწილის ფინალში მისტიკური ქორო „მარადქალური“ ფენომენის სადიდებელს აღავლენს: „მარადიულ ქალური მაღლა მიგვეზიდება“.

გოეთეს შემდეგ „მარადქალურობა“ იქცა უნივერსალურ სიმბოლოდ, მისტიკურ სახედ „სოფიასი“ – ღვთაებრივი სიბრძნის („ზეშთასიბრძნის“) ქალურ პერსონიფიკაციად. ამგვარი აღქმა „მარადქალურობისა“, უპირატესად, ვ. ლ. სოლოვიოვის მოძღვრების მიმდევარი „ვერცხლის საუკუნის“ რუსი „თეურგი“ სიმბოლისტებისთვის არის დამახასიათებელი.

„ვერცხლის საუკუნის“ რუსულ პოეზიაში „მარადქალური“ არის გამოხატულება მისტიკური სატრფოსი, არ გაიგივდება არავითარ მინიერთან და მხოლოდ იმედსა და წარმოსახვაში არსებობს, ზუსტად ისე, როგორც გალაკტიონი გაიზარებს ბარათაშვილის ლექსს – „რად ჰყვედრი კაცსა“... „ბარათაშვილის სული ოცნებობს ქალის მშვენიერ სულზე... ამ შავ ლაბირინთში, შორს, დაუსრულებელ სილაყვარდეში, მოსჩანს სათაყვანებელი ლანდი ბეატრიჩესი, მუდმივად სასურველი და მუდმივად მიუღწეველი იდეალი, ციური, ღვთაებრივი სილამაზე, ჰაეროვანი, უსხეულო ლანდი შორეული ქალის, შექმნილი სინათლისა, ალის და სურნელებისაგან... ანგელოსთა ქვეყნის ანარეკლი. ამ ქალს ბარათაშვილის ლექსში არ აქვს სახელი, შეიძლება განა ამ ბეატრიჩეში, ამ ლაურაში დავინახოთ რომელიმე ქალწული ან ახალგაზრდა ქალი, რომელიც მხურვალე გრძნობით უყვარდა მგოსანს სინამდვილეში?“

რუსი „თეურგები“ ამითიურებდნენ მინიერს და ქმნიდნენ ახალ მითოსს. ასე გაამითიურა ალექსანდრ ბლოკმა ლუბოვ მენდელეევა. გალაკტიონმაც შექმნა ამგვარი მითი ციურ-ღვთაებრივ სატრფოზე, რომელსაც მერი ჰქვია.

ახლა კონკრეტულად „მერის“, შესახებ, რომელშიც სიმბოლისტური ნერის მანერით არის გამოხატული, როგორც გალაკტიონი იტყოდა, „ზექვეყნიური სიყვარულის გამოუთქმელი და მწვავე ალი“.

„მერი“ („შენ ჯვარს იწერდი“) 1915 წლის სექტემბერში გამოქვეყნდა „თეატრსა და ცხოვრებაში“ და სათაური ლათინური ასოებით იკითხებოდა. მერის ხსენება პირველად გვხვდება რამდენიმე თვით ადრე უურნალ „განთიადში“ დაბეჭდილ ლექსში, რომლის სათაური იყო „მერი“ („შენ ზღვის პირად მიდიოდი, მერი“). „არტისტულ ყვავილებისთვის“ გალაკტიონმა „თეატრსა და ცხოვრებაში“ დაბეჭდილი ლექსის ახალი რედაქცია შექმნა, სათაურის უცხოური დანერილობაც უარყო და

მასაც „მერი“ უწოდა. შემდგომში, გამეორების თავიდან ასაცილებლად, პირველად გამოქვეყნებული ლექსი ასე დაასათაურა – „შენ ზღვისპირად“, რომლის ფინალური ფრაზაა: „მერი, ჩემო შორეულო, მერი, შენკენ მოქრის ბედის იალქანი“. ეს „შორეულო მერი“ უკვე იმის მიმანიშნებელია, რომ ჩვეულებრივ მინიერ ტრფობასთან არ უნდა გვექონდეს საქმე. ეს თემა კიდევ უფრო გაღრმავდა იმ ლექსში, რომელიც „თეატრსა და ცხოვრებაში“ დაიბეჭდა და დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია.

„მერი“-ს ადრესატად უმშვენიერესი მერი შერვაშიძე მიიჩნის, იმპერატორის კარის ფრეილინა, რომლის შესახებ ნიკოლოზ მეორეს უთქვამს – Княгиня, грешно быть такой красивой („თავადის ქალი, ცოდვის ტოლფასია ასეთი სილამაზე“).

ლექსში ლიად გაცხადებული ტრფობა დაინახეს. ქუთაისის საზოგადოების დიდი ნაწილი (სადაც იმჟამად იმყოფებოდა მერი შერვაშიძე) აღშფოთებული იყო ასეთი სითამამით, ნაწილი კი, ალბათ, თანაუგრძობდა პოეტს, რომელიც სატრფოს ჯვრისწერას ესწრებოდა (ის კი არავის აინტერესებდა, რომ მერი შერვაშიძემ 1915 წელს კი არა, სამი წლის მერე დაინერა ჯვარი გიგუშა ერისთავზე). ასე შეიქმნა ლეგენდა, უფრო სწორად, დაიწყო იგი, რომელიც დღემდე გრძელდება. სამეცნიერო ნაშრომებშიც კი შეხვედებით მის გამოძახილს, მცირე პოეტური კრებულებაც არსებობს მერის ციკლის ლექსებისა, რომელსაც მერი შერვაშიძის პორტრეტი ამშვენებს.

ლექსში – „შენ ჯვარს იწერდი იმ ღამეს, მერი...“ ერთი შეხედვით, მინიერ ტრფობასთან გვაქვს საქმე. მინიერი სიყვარული აქაც ღვთაებრივი სიყვარულის პარადიგმაა, თუმცა, ღვთისმშობლის ციკლის სხვა ლექსებთან შედარებით, აშკარად ამაღლებულია ორიგინალობის ხარისხი.

„მერიში“ აღწერილი ჯვრისწერა ქორწინებაა. ქორწინება გადატანილი აზრით, რელიგიური გაგებით, ნიშნავს კავშირს ღვთაებრივთან. ეს კი საუკუნეთა მანძილზე წარმოადგენდა არა მხოლოდ პოეზიის, არამედ, საზოგადოდ, ხელოვნების თემას. გალაკტიონის ლექსში „მერი“ უზადო ოსტატობითა და ხატოვანებითაა გადმოცემული ლირიკული სუბიექტის მწუხარება არშემდგარი ჯვრისწერა-ქორწინების გამო, რაც ლექსშიც, გადატანითი აზრით, ციურ-ღვთაებრივ საპატარძლოსთან – მერი-ღვთისმშობელთან, ანუ ღვთაებრივთან არშემდგარ კავშირს გულისხმობს.

არშემდგარი სულიერი კავშირი ღვთაებრივთან – ეს არის „მერის“ უმთავრესი სათქმელი. ასე რომ, ეს ლექსიც რწმენის კრიზისს ასახავს. რაც, ბუნებრივია, გამორიცხავს ყოველგვარ ვარაუდს, თითქოს ლექსი ჭაბუკი პოეტის მიერ უიღბლო სიყვარულის გამოტირება იყოს. არაფერი ამის მსგავსი არ არის ლექსში, აქ უდიდესი ექსპრესიულობითაა გამოხატული ზეციური ლაჟვარდის მოტრფიალე პოეტის უმძაფრესი განცდა და წადილი; ტრაგიკულ ტონალობაშია წარმოდგენილი რწმენადაკარგული, ნიჰილისტური ეპოქის სულიერი კრიზისი. ამ ტრაგიზმს კიდევ უფრო აძლიერებს პიროვნების სულიერი გადარჩენისკენ მიმართული ის უდიდესი ძალისხმევა, რაც ყოველ სტრიქონში გამოსჭვივს.

„არტისტულ ყვავილებში“ გამოქვეყნებულ ლექსში გალაკტიონმა ამოიღო პირველნაბეჭდ ვარიანტში არსებული მსუბუქი ეროტიკული შეფერილობის სტრიქონები. გულუბრყვილობაა იმაზე ფიქრი, რომ ეს პოეტმა მერი შერვაშიძისადმი ლიად გაცხადებული ტრფობისაგან აღშფოთებული საზოგადოების დასამშვიდებლად გააკეთა. იმ ღვთაებრივ ტრფიალებში, რაც ლექსის შინაარსს წარმოადგენს, აშკარა დისონანსი შეჰქონდა ფრაზა: „სხვისმა ალერსმა უნდა დაგათროს? სხვამ უნდა მიგცეს იდუმალ ზღაპრებს“. განსაკუთრებით კი სტრიქონებს – „ნუთუ სხვამ უნდა დასწვას ეგ მკერდი – თოვლივით თეთრი და მშვენიერი“. როგორც ჩანს, ამას მოგვინებით დაუფიქრდა პოეტი და სავსებით სწორად მოიქცა, როცა ზემომოხმობილი სტრიქონების გამო, პირველნაბეჭდი ვარიანტიდან ორი სტროფი ამოიღო. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მიუთითებს მერის ციკლის ლექსების ციურ-ღვთაებრივი ადრესატისადმი პოეტის დამოკიდებულებაზე.

გალაკტიონთან შესაძლოა, ბევრი რამ აუხსნელი დარჩეს, რადგან ლოგიკურის გარდა ემოციური შემეცნებაც არსებობს, ამიტომ ხშირად ისიც გვხიბლავს, რასაც ვერ ვიგებთ. ალბათ ვერასოდეს ამოვხსნით, რა აზრია სტროფში:

„ლაჟვარდების კიდეო,
დაბურულო ზმანებით,
ლურჯო მონტევიდეო,
ვინრო ხელთათმანებით...“

და მაინც, ეს არ ნიშნავს, რომ მხოლოდ ემოციას დავჯერდეთ და არ ვეცადოთ იმის ამოკითხვას, რასაც ჩვენი ცოდნა და განსწავლულობა გასწვდება.

ამირან გომართელი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, კრიტიკოსი

ყვავილების მდინარეს...

(ციკლიდან „გალაკტიონი“)

ყვავილების მდინარეს კუბო ცისკენ მიჰქონდა,
ინვა გალაკტიონი და თავისას ფიქრობდა.
აღმართ-აღმართ მდინარე მთანმინდისკენ დიოდა,
ინვა გალაკტიონი – მოხუცს ბეჭი სტკიოდა.
ალბათ, შუბლიც სტკიოდა – მაინც, მეფურ იერით,
ინვა მკერდბუმბერაზი, ხნიერი და ძლიერი.
რალაც პათეტიკური მას სიკვდილშიც დაჰკრავდა,
ინვა, როგორც ყოველთვის, ახლაც არვის არ ჰგავდა...
ეს სიკვდილი, ეს დაფნა, ეს მზე ოქროცურვილი –
იყო ეს ყველაფერი მხოლოდ მისი სურვილით.
ღირიჟორი თვით იყო! რაც მოხდა და გათავდა
და რაც ახლა ხდებოდა, – მისი ჟინი მართავდა...
ყვავილების მდინარეს რკინის კუბო მიჰქონდა,
ინვა გალაკტიონი, სივრცეებზე ფიქრობდა...
უცბად, შავმოვლებული, შეჩორჩქოლდნენ დროები,
უცბად, მამადავითის ბჭესთან შედგნენ მგოსნები:
კონსტანტინე-ბატონთან ლეონიძეც იქ იდგა,
„რა ჰქნა?“ – უმისამართოდ ჩიქოვანმა იკითხა.
„რა ჰქნა?“ – ახლა ირაკლიმ თქვა და თავი დახარა, –
იმ დღეს ავად მენიშნა ეს ამდენი ჭალარა...
სდუმდნენ დიდოსტატები, იდგნენ მხრების კანკალით,
დასწყებოდა მთანმინდას საუკუნის სამკალი.
წინ გვიძლოდა სიკვდილით სივრცეების მხილველი,
მიდიოდა ამაყი და სიკვდილშიც პირველი!..
იყო ცხრაას ორმოცდაცხრამეტი წლის ტალახი,
იყო ფრთხილად გაჭრილი წმინდა ძვალთშესალაგი.
ალაგ სამხარ მინაში იყო მარტის ამინდით
ტალახში ახელილი უძველესი კრამიტი.
რალაც პათეტიკური მას სიკვდილშიც დაჰკრავდა,
ინვა, როგორც ყოველთვის, ახლაც არვის არ ჰგავდა!
ერთი-ორი სხვაც ჰყავდა, ვინც მშობლისთვის იბრძოდა,
მაგრამ ვისაც მარხავდა, საქართველომ იცოდა!..

მუჟმან ლებანიძე

